საქართველოს ორგანული კანონი

"პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. "პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საპარლამენტო უწყებები, N46, 03.12.1997 წელი, გვ. 29) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება და კანონის 53-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 53. სახელმწიფო სახსრების გამოყენებისა და ხარჯვის შემოწმება და გარე აუდიტი

პროკურატურისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენების და ხარჯვის შემოწმებას და გარე აუდიტს ახორციელებს საქართველოს კონტროლის პალატა."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი